ხელშეკრულება №45
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი,

18 აპრილი 2017 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის ჯემალ ნაკაშიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ეკონომიკა-აუდიტი", (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის მალხაზ ქარცივაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის სატყეო სააგენტოს 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის და 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება და შესაბამისი დასკვნების მომზადება (CPV-79212300).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადა

4.1. მიმწოდებლმა შემოწმების დამადასტურებელი აქტის, რეკომენდაციების და დასკვნების მიწოდება უნდა უზრუნველყოს 2017 წლის 18 მაისამდე. დასკვნა წარმოდგენილი უნდა იქნას სამ ეგზემპლარად.

4.2. აუდიტორული დასკვნების მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა N124, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო.

4.3. მიმწოდებელმა შესამოწმებელ ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყოს:

ა) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობისა და ორგანიზაციის აუდიტი, ბუღალტრული ანგარიშგების შესაბამისობა ინსტრუქციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის და ანგარიშთა გეგმის მიხედვით (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანების და 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად);

ბ) ბუღალტრული ბალანსის (თანდართული ფორმებით) სისწორისა და სისრულის შემოწმება;

გ) ფულადი საშუალებების (მ.შ. საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების მოძრაობის) აუდიტი;

დ) ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით ოპერაციათა აუდიტი, აქტივების აღრიცხვის, მიღებისა და გასვლის ანალიზი;

ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგების აუდიტი;

ვ) შრომის ანაზღაურების (საშვებულებო, ბიულეტენის თანხების, საგადასახადო შეღავათების გავრცელების გამოანგარიშების) დარიცხვა-გაცემის აუდიტი;

ზ) პირველადი ბუღალტრული დოკუმენტების დამუშავების, მათ საფუძველზე განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისობა;

თ) გადასახადებისა და მოსაკრებელების დარიცხვის სისწორისა და დროულად გადახდის, გადასახადების აღრიცხვისა და დეკლარირების სისწორის დადგენა;

ი) მოთხოვნებისა და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის მდგომარეობა, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა წარმოქმნის საფუძვლიანობის აუდიტი;

კ) დამტკიცებულ (დაზუსტებულ) ბიუჯეტთან საკასო ხარჯების შესაბამისობისა და კანონიერების შემოწმება;

ლ) არასაბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერების შემოწმება (მ.შ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით);

მ) ჩატარებული ინვენტარიზაციის სისწორის (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების შესაბამისად) და მათი შედეგების საბალანსო მონაცემებთან შესაბამისობის შემოწმება;

ნ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების აუდიტი;

4.4. მიმწოდებელმა აუდიტორული მომსახურება უნდა განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტების, ეთიკის კოდექსის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურეობის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

7.3. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ვახტანგ ბაგრატიონი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
მის: ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ.N 124.
საიდენტიფიკაციო კოდი 245444906
ხაზინის ერთიანი ანგარიში:
სახელმწიფო ხაზინა,
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ჯემალ ნაკაშიძე
სამმართველოს უფროსი

მიმწოდებელი:

შპს „ეკონომიკა-აუდიტი"
მისამართი: ქ. ბათუმი, ნ. იმნაძის ქ. N6

საიდენტიფიკაციო კოდი: 245425883
ს.ს. „პრო-კრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის № GE30PC0033600100024089

მალხაზ ქარცივაძე
დირექტორი